*დანართი №2*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივ კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ნანა ჭარაშიძე

**წევრები:**

ეკატერინე ორმოცაძე

[illegible]

ნინო ძაგანია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ჭარაშიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება:

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი:

**205355499**

სახე

**საზოგადოებრივი კოლეჯი**

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [x] საზოგადოებრივი კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ჭიჭინაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №707(03.08.2018წ) ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ნანა შარაბიძე – ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე; ექსპერტთა ჯგუფის წევრები - ბესარიონ ორმოცაძე, თეა შაყულაშვილი და ნინო ძაგანია.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. დაწესებულებაში (მის. ქ. თბილისი, უზნაძის ქუჩა№68) ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად 2018 წლის 15-17 აგვისტოს.

ვიზიტი დაიწყო ჯგუფის შეხვედრით კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი ზურაბ ოშხნელი; დირექტორის მოადგილეები [redacted] ხარისხის მართვის მენეჯერი თეა ლილუაშვილი; ადამიანური რესურსების, რეესტრის და საქმისწარმოების მენეჯერი [redacted] სასწავლო პროცესის მენეჯერი [redacted]

ვიზიტის პირველ დღეს შედგა ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ადგილზე გადამოწმდა ადმინისტრაციის და პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეებში არსებული დოკუმენტაცია.

მეორე დღეს მოხდა საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო და დამხმარე სივრცეების, მათი აღჭურვილობის, ადაპტირების, ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი და შესყიდვების დოკუმენტაციის გადამოწმება, ასევე შედგა ინტერვიუ ხარისხის მენეჯერთან, დირექტორის მოადგილეებთან და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან.

მესამე დღეს გადამოწმდა პრაქტიკის გასავლელად წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საბიბლიოთეკო სივრცე და მასში არსებული საგანმანათლებლო რესურსები; განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე: სამაუწყებლო კომპანიაში „საზოგადოებრივი ტელევიზია", „საზოგადოებრივი რადიო" და შპს „კიკალა სტუდიო" -ში; გადამოწმდა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა საქმისწარმოების დადგენილი წესებთან მიმართებაში.

ვიზიტის დასრულებისას ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ძირითადი მიგნებები გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

*ვიზიტის პერიოდში ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით ადგილზე დადასტურებული მონაცემები*

| მდგომარეობა | სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | ფართი | მისამართების რაოდენობა და მდებარეობა |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი | 1-20 | 1-5 | 1-20 | 1-500 კვ.მ. | ერთ მისამართზე |
| არსებული | 21-50 | 6-10 | 21-50 | 501-1500 კვ.მ. | სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში |
| | 51-150 | 11-15 | 51-100 | 1501-3000 კვ.მ. | სხვადასხვა მუნიციპალიტეტში |
| | 151-500 | 16-20 | 101-150 | 3000-5000 კვ.მ. | |
| | 501 და მეტი | 21 და მეტი | 151 და მეტია მეტი | 5001 და მეტი კვ.მ. | |

მონაცემები შეესაბამება განაცხადში ასახულს და ვიზიტის პერიოდში ცვლილება არ მომხდარა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | მუხლი 6 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | მუხლი 6 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს | მუხლი 6 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აღიარების წესები | | | |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ა) | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ) | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ■ | □ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | ■ | □ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ■ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | მუხლი 7 / პუნქტი ზ) | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | მუხლი 7 / პუნქტი თ) | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7 / პუნქტი ი) | ■ | ☐ |
| 3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი | | მუხლი 8 | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ■ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ■ | ☐ |

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის [illegible]



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

სტანდარტებთან და ქვესტანდარტებთან მიმართებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“-ს ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებს დაემატოს საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორისთვის წარდგენის ფუნქცია; (1.1)
- სასურველია სახელოვნებო მიმართულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში („ვიდეომონტაჟი“, „ვიდეო - საოპერატორო ხელოვნება“, „ტელეეთერის დიზაინი“ და „ტელერეჟისურა“) ცალკე პუნქტად აისახოს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურის შესახებ; (1.1)
- გასწორდეს „კიკალა სტუდიო“-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მოდულების დასახელებაში დაშვებული უზუსტობები;
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“ არ ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას პირადი განცხადების საფუძველზე, სასურველია დაემატოს;
- სასურველია კოლეჯმა, როგორც სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, გააფორმოს მემორანდუმები მონათესავე პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- სასურველია ბიბლიოთეკა გადატანილ იქნას ისეთ სივრცეში, რომელსაც ექნება დამოუკიდებელი შესასვლელი;
- გასწორდეს დაწესებულების სტრუქტურაში, წესდებაში, საშტატო განრიგში, თანამდებობრივ ინსტრუქციებში არსებული შეუსაბამობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

VII. დაწესებულების მისია

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა ხელი შეუწყოს:

- პროფესიული განათლების პრესტიჟის ზრდას, მედიასაშუალებებისთვის კვალიფიციური კადრების მომზადებას და დასაქმებას;
- პრაქტიკოსი პროფესიონალების მოზიდვას სასწავლო პროგრამების წამყვან პედაგოგებად, ტექნიკურად სრულყოფილი სასწავლო გარემოს შექმნას, პროფესიული სტუდენტების შემოქმედებითი ინიციატივის მხარდაჭერას;
- პროფესიულ სტუდენტებში სიტყვის თავისუფლების, პლურალიზმის და ღია საზოგადოების ფორმირების განვითარებას;
- პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების მონაწილეობას საერთაშორისო მედია პროექტებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული (დამტკიცებულია ცვლილებებით ბრძანება №51, 04.07.2018წ.) „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები"-ს მუხლი 6, პუნქტი 5, ქვეპუნქტი „გ"-ს შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებას, ხარისხის მენეჯერის წარდგინებით, ახდენს კოლეჯის დირექტორი. თუმცა იგივე წესების მუხლი 9, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ი"-ს შესაბამისად ხარისხის მართვის მენეჯერი ამზადებს დასკვნას პროფესიული პროგრამების პროექტებზე. ვინაიდან დასკვნის მომზადება არ ნიშნავს წარდგენას, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ქვეპუნქტ „ი"-ს სასურველია დაემატოს ფრაზა „დადებითი დასკვნის შემთხვევაში დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს".



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების უფლებამოსილი პირის -კოლეჯის დირექტორის ბრძანებით - დამტკიცებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამები სამი ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების საფუძველზეა შექმნილი. კერძოდ:

1. მეხუთე საფეხურის მოდულური პროფესიული პროგრამები „რეპორტიორი" და „ტელე-რადიო წამყვანი", რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „რეპორტიორობა და წამყვანობა ჟურნალისტიკაში" ადაპტირების საფუძველზეა შექმნილი;
2. მეხუთე საფეხურის მოდულური პროფესიული პროგრამები „ვიდეომონტაჟი", „ვიდეო - საოპერატორო ხელოვნება", „ტელეეთერის დიზაინი" და „ტელერეჟისურა",რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „აუდიო - ვიზუალური ხელოვნება" ადაპტირების საფუძველზეა შექმნილი;
3. მეოთხე საფეხურისმოდულური პროფესიული პროგრამა „ფოტოგრაფია", რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ფოტოგრაფია" ადაპტირების საფუძველზეა შექმნილი.

აღნიშნული პროგრამების გაცობითი პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტების განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი;
2. შპს რადიო ჰოლდინგი „ფორტუნა";
3. შპს „რუსთავი 2";
4. შპს „კიკალა სტუდიო".

უნდა აღინიშნოს, რომ კიკალა-სტუდიოსთან გაფორმებულ მემორანდუმით განსაზღვრულ საკითხებში 2.1, 2.2 და 2.3 პუნქტებში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, რომელიც არ შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ: პრაქტიკების გავლა გულისხმობს გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკების უზრუნველყოფას, თუმცა ჩარჩო დოკუმენტის ითვალისწინებს გაცნობით პრაქტიკასა და პრაქტიკულ პროექტს. ამ უზუსტობიდან გამომდინარე 2.2. პუნქტში არ შეიძლება იყოს საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი. ასევე 2.3. პუნქტით გაწერილი სადიპლომო ნაშრომი არ არის გათვალისწინებული ჩარჩო დოკუმენტით. ჩარჩო დოკუმენტის მოდული „პრაქტიკული პროექტი- ფოტოგრაფია" ითვალისწინებს მხოლოდ პროფესიული დავალების დამოუკიდებლად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ბეჭედი, წელი]

შესრულებას. <u>სასურველია დაწესებულებამ შეასწოროს აღნიშნული უზუსტობები მემორანდუმის ტექსტში.</u>

დაწესებულება სახელოვნებო მიმართულების პროგრამებზე („ვიდეომონტაჟი", „ვიდეო - საოპერატორო ხელოვნება", „ტელეეთერის დიზაინი" და „ტელერეჟისურა") ჩარიცხვას ახორციელებს კოლეჯის მიერ ორგანიზებული კონკურსის და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები" მუხლი 24. პუნქტები 2,3,4.). აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულ ელექტრონულ კატალოგშიც არის. <u>ამიტომ სასურველია, იგივე ინფორმაცია, ცალკე პუნქტად „საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა", სახელოვნებო მიმართულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებშიც აისახოს.</u>

დაწესებულების მიერ საავტორიზაციოდ წარმოდგენილ ყველა პროფესიულ პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაციები, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სწავლების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, პროგრამის მოცულობა. პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმა, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და მატერიალური რესურსის შესახებ.

***საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა:*** (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

| № | პროგრამის დასახელება | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულ  კატალოგში შესულია ყველა სავალდებულო და სარეკომენდაციო ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.  ვინაიდან დაწესებულება ახალია და ახლა იმყოფება ავტორიზაციის პროცესში, ამიტომ მიეცათ რეკომენდაცია  საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში პროგრამების შესახებ ინფორმაცია ანონსის სახით ყოფილიყო მოცემული. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდშივე დაამატა კატალოგს ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული კატალოგი;
- დაწესებულების  ვებ გვერდი   www.cmtv.ge



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.
საგანმანათლებლო პროგრამები მოდულებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით და პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეულ დატვირთვის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც შეესაბამება კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები", რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მუხლი24), შეჩერების (მუხლი 30), შეწყვეტის (მუხლი 32), მობილობის (მუხლი 29) და მიღებული განათლების აღიარების (მუხლი 33) წესები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები"-ს მუხლი 30 არ ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას პირადი განცხადების საფუძველზე;
2. მარეგულირებელი წესებით გათვალისწინებული მობილობის სხვა დაწესებულებებში განსახორციელებლად, დაწესებულებას არ აქვს მემორანდუმები გაფორმებული, ვინაიდან საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროგრამები ძირითადად ახალია და ამ პროგრამებს ჯერჯერობით არ ახორციელებს სხვა რომელიმე დაწესებულება.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ჩაამატოს მარეგულირებელ წესში ჩანაწერი პირადი განცხადების საფუძველზე სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ;

მეორე საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებას ასევე მიეცა რეკომენდაცია მემორანდუმები გააფორმოს მონათესავე, მსგავსი პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით"

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები"-ით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, პროგრამის პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი (მუხლი 20), თუმცა დაწესებულებას არ წარმოუდგენია მემორანდუმები, რომლის საფუძველზეც შეძლებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას. მართალია ზუსტად ასეთივე პროგრამებს არ ახორციელებს არც ერთი დაწესებულება, მაგრამ <u>კოლეჯს შეუძლია გააფორმოს მემორანდუმები მონათესავე პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან;</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით"

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის მიერ შემუშავებული ხარისხის მართვის ინსტრუქციების შესაბამისად, კოლეჯში ფუნქციონირებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ამ ეტაპზე მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირების და საავტორიზაციოდ წარდგენის მოსამზადებელ სამუშაოებში, ხოლო შემდგომში მათი საქმიანობა, ხარისხის მართვის ინსტრუქციაში გაწერილი ფუნქციების მიხედვით იქნება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი (მოდულური) პროფესიული პროგრამების დანერგვის პროცესზე დაკვირვება, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების და პოტენციური დამსაქმებლების პერიოდული გამოკითხვა, ინფორმაციის შეგროვება, გაანალიზება და რეკომენდაციების მომზადება, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის უზრუნველყოფა, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობა.

**დასტურდება** (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2018 წლის 17 აპრილის N8 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის მართვის ინსტრუქციით".
- ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

## 2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯს მფლობელობაში აქვს თბილისში, უზნაძის N68-ში მდებარე 530.85 მ² სასწავლო ფართი. აღნიშნულ ფართს უჭირავს ოთხსართულიანი შენობის მეოთხე სართულის ნაწილი. დანარჩენი ფართი არის საქართველოს საპატრიარქოს და სახელმწიფოს მფლობელობაში. საერთო სარგებლობის ფართს წარმოადგენს ლიფტისა და კიბის უჯრედი, ასევე მეოთხე სართულზე მდებარე დაწესებულებამდე მისასვლელი კორიდორი. აქვე უნდა აღინიშნოს სასწავლო ფართში განთავსებულია 3 A ტიპის სასწავლო გარემო, 2 B ტიპის გარემო, ხმის ჩამწერი და სამონტაჟო კომპლექსური ოთახი, რადიო სტუდია, სატელევიზიო სტუდია, მრავალფუნქციური პავილიონი. დანარჩენ ფართში განთავსებულია ადმინისტრაციის ოთახები, ბიბლიოთეკა, ტექნიკურ-შემოქმედებითი ჯგუფის ოთახი, კამერებისა და სპეც. ტექნიკის პარკი, საზოილერო.

სველი წერტილები - მამაკაცისა და ქალის ტუალეტები ერთ სივრცეშია განთავსებული. აქ არის 4 დამოუკიდებელი კაბინა და ერთი ადაპტირებული სივრცე (უნიტაზითა და ხელსაბანით), ასევე სველი წერტილის შესასვლელში განთავსებულია ორი ხელსაბანი ნიჟარა. სველი წერტილი ახალგარემონტებულია და მასში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

დასტურდება:

- საჯარო რეესტრის ამონაწერით;
- მიღება - ჩაბარების აქტებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი №2

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
დაწესებულებამ წარმოადგინა 7 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა განხორციელებას გეგმავს. დათვალიერებისა და დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მატერიალური რესურსების ჩამონათვალი იდენტურია ჩარჩო დოკუმენტში მოცემული აღჭურვილობის ჩამონათვალის. ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დადგინად A, B და C სასწავლო გარემოში არსებული ვითარება
A1 – აუდიტორიაში არის 10 მერხი , თითო სამადგილიანი (სულ 30 ადგილი)
A2 - აუდიტიაში არის 5 მერხი, თითო სამადგილიანი (სულ 15 ადგილი)
A3- აუდიტიაში არის 8 მერხი, თითო ორადგილიანი (სულ 16 ადგილი)
სამივე A ტიპის სასწავლო გარემოში არის მასწავლებლის მაგიდა, კომპიუტერი, დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება, ტელევიზორის ორ სიბრტყეში მბრუნავი საკიდი.

სპეციალური ტექნიკა, როგორიცაა კამერტონი, საყოფაცხოვრებო ვიდეოკამერა HDMI პორტით, დიქტოფონი USB პორტით, მეხსიერების CD ბარათი 2-4 გბ., HDMI კაბელი 6 მეტრი, კარტ-რიდერი, AV კაბელი 20 მეტრი -რომელიც A გარემოში სხვადასხვა პროგრამის მოდულებით არის განსაზღვრული არ დევს აუდიტორიაში. (ტელევიზიებში არსებული პრაქტიკის გამოყენებით, სპეცტექნიკა ინახება სპეციალურ ოთახშ და მას გასცემს უფლებამოსილი პირი, საჭიროების გათვალსიწინებით )მეცადინეობის დაწყების წინ მასწავლებელი თავად უზრუნველყოფს მათ შემოტანას აუდიტორიაში. ეს გარემოება აიხსნება იმ ფაქტით, რომ A გარემო გამოიყენება სხვადახსვა პროგრამებისთვის, სადაც აღნიშნული ტექნიკა არ გამოიყენება.
აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მედიაკოლეჯში არსებული ვითარება ძალიან ახლოსაა ტელევიზიებში არსებულ ვითარებასთან, შეიძლება ითქვას, რომ ვიზიტი მინი-ტელესივრცეში განხორციელდა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

B1 - სასწავლო გარემო გათვლილია 15 სტუდენტზე + მასწავლებლის მაგიდა, სკამი და კომპიუტერი. აუდიტორიაში ასევე არის პრინტერი, დაფა, გარემო სრულადაა აღჭურვილი კომპიუტერებით (15 ერთეული) და მასთან მიერთებული მუსიკალური სვეტი (დინამიკი), უწყვეტი კვების ბლოკი (15 ერთეული), დემონსტრირების ციფრული საშუალება - ტელევიზორი HDMI პორტით, ტელევიზორის ორ სიბრტყეში მბრუნავი საკიდი, HDMI კაბელი 6 მეტრი, ყურთსასმენები (15 ერთეული). შერჩევით ვნახეთ კომპიუტერში ჩატვირთული პროგრამები, აღნიშნული პროგრამებია: სამონტაჟო - Adobe premiere, Avid Media Composet, Adobe illustrator, Adobe After Effects, Cinema 4D, Adobe Photoshop. აღნიშნული პროგრამები იდენტურია პროგრამის მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალში მითითებული პროგრამების და რომელიც საჭიროა პროფესიული პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

B2 - სასწავლო გარემოს ფართია 30, 7მ² და გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. ვიზიტის განხორციელების მომენტისათვის აუდიტორიაში გაყვანილი იყო ინტერნეტ ქსელი, თუმცა არ იყო არც ავეჯი (მაგიდები და სკამები), და არც კომპიუტერები. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინეს ავეჯზე გამოცხადებული ტენდერის დოკუმენტაცია (განაცხადის ნომერი - SPA180006993). თუმცა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო კომპიუტერების კომპლექტაციაზე - მონიტორი, სისტემური ბლოკი, უწყვეტი კვების ბლოკი - 35 ერთეული, ბარათის წამკითხველი - 30 ერთეული, სახატავი პადი 15 ცალი, გარე მყარი დისკი 6 ცალი, ფლეშმეხსიარება 2 ცალი, ფოტოსკანერი - 2 ცალი ამჟამად მომზადებული სატენდერო განაცხადის პროექტი, თუმცა დაწესებულებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მას არ აქვს მინიჭებული ნომერი.

C1- სასწავლო გარემო - ხმის ჩამწერი და სამონტაჟო კომპლექსური აუდიტორია. სასწავლო ფართი აღჭურვილია იმ აპარატურით, რომელიც დაწესებულების მიერ მითითებულია პროგრამის მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალში და რომელიც საჭიროა პროფესიული პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ამავე აუდიტორიაში განთავსებულია ხმის ჩამწერი ჯიხური. 3 კომპიუტერი (სამონტაჟო) და ერთი ხმის ჩასაწერი და დასამონტაჟებელი კომპიუტერი. (როგორც უკვე აღვნიშნეთ დამატებითი კომპიუტერები ტენდერის მოლოდინშია).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

C2 - რადიოსტუდია. ეს გარემო ტელე-რადიო წამყვანის პროგრამის სტუდენტებზეა გათვლილი. სასწავლო ფართი აღჭურვილია იმ აპარატურით, რომელიც დაწესებულების მიერ მითითებულია პროგრამის მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალში და რომელიც საჭიროა პროფესიული პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

C3 - სატელევიზიო- სააპარატო სტუდია. აღჭურვილია ყველა საჭირო აპარატურით. მათ შორის სარეჟისორო და ხმის პულტებით, სუფლიორითა და სერვერით. ასევე აუდიტორიაში განთავსებულია ორი სამონტაჟი კომპიუტერი (სიუჟეტებისთვის), საეთერო მონიტორი.

C6 - მრავალფუნქციური პავილიონი. პავილიონი გათვლილია შემდეგი პროგრამებისთვის: ფოტოგრაფია, ტელერეჟისურა, ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება, ვიდეომონტაჟი და ტელეეთერის დიზაინი. სასწავლო ფართი აღჭურვილია იმ აპარატურით, რომელიც დაწესებულების მიერ მითითებულია პროგრამის მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალში და რომელიც საჭიროა პროფესიული პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

რაც შეეხება C4 და C5 გარემოებს მედიასპეციფიკიდან გამომდინარე ეს სივრცეები ასე ნაწილდება:
C4 - ეს არის სივრცე, სადაც განთავსებულია ნატურაზე გადაღებისათვის საჭირო ტექნიკა და ინვენტარი.
C5 - ეს არის არასასწავლო დაწესებულებაში არსებული გარე სივრცე (ნატურა).

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში არსებული მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობისა და გამოცხადებული ტენდერების გარდა, კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ემ-მედიატორთან". მემორანდუმის საგანს წარმოადგენს შპს-ს მხრიდან ყველა სახის ტექნიკური მოწყობილობებით იმ პრაქტიკული მოდულების უზრუნველყოფა, რომელთა ფლობა ან/და გამოყენების შესაძლებლობა კოლეჯს მოცემულ მომენტში შეზღუდული აქვს მათი შესაძლო დაზიანების ან/ და შესყიდვებთან დაკავშირებული სირთულეების გამო.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მიღება - ჩაბარების აქტებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით.
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯში არსებობს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. სველი წერტილები გამართულია, დაცულია სანიტარული ნორმები, არსებობს სასწავლო ფართის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. კოლეჯში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სველი წერტილები - მამაკაცისა და ქალის ტუალეტები ერთ სივრცეშია განთავსებული. აქ არის 4 დამოუკიდებელი კაბინა და ერთი ადაპტირებული სივრცე (უნიტაზითა და ხელსაბანით), ასევე სველი წერტილის შესასვლელში განთავსებულია ორი ხელსაბანი ნიჟარა. სველი წერტილი ახალგარემონტებულია და მასში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. აუდიტორიებსა და ადმინისტრაციის ოთახებში დამონტაჟებულია კონდიციონერები. კოლეჯი რეგისტრირებულია სს "თელასის", "ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის", თბილსერვის ჯგუფის და ყაზტრანსგაზის აბონენტებად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

- ადგილზე სასწავლო კორპუსის ვიზუალური დათვალიერებით;
- სააბონენტო გადასახადების გადახდის ქვითრებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საბიბლიოთეკო სივრცე განთავსებულია 5.5 კვ. მ ოთახში, რომელსაც აქვს მეორადი შესასვლელი ადმინისტრაციის ოთახიდან, მასში განთავსებულია 2 კომპიუტერი-სტუდენტებისთვის, 1 ბიბლიოთეკარისთვის და სკანერის მოწყობილობა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 358 ბეჭდურ ერთეულს და ელექტრონულ მატარებლებზე არსებულ 351 ერთეულს. შერჩევით გადამოწმდა 7 პროგრამის 8 მოდული. მითითებული ლიტერატურა-ყველა იყო ადგილზე (ელექტრონული ან/და მატერიალური სახით), თუმცა ელექტრონულ მატარებლებზე მოთხოვნილი ლიტერატურის მოძიება გაძნელდა, ვინაიდან CD დისკებზე ისინი ჩაწერილია მოდულების მიხედვით საინვენტარო წიგნით ვერ დგინდება თუ რომელ დისკზე რა დასახელების ლიტერატურაა დატანილი.
ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, საინვენტარო წიგნი ზონარგაყრილი, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

<u>ვინაიდან საბიბლიოთეკო სივრცეს არ აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი, ამიტომ სასურველია ბიბლიოთეკა გადატანილი იქნეს სივრცეში, რომელსაც ექნება დამოუკიდებელი შესასვლელი.</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ხელმოწერა)

*დანართი №2*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ საბიბლიოთეკო საგანმანათლებლო რესურსის გადამოწმებით;
- ➢ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. კოლეჯს აქვს ელ. ფოსტის მისამართი (info.cmtv1989@gmail.com), კოლეჯის ადმინისტრაციის სარგებლობისთვის გამოყოფილია 11 კომპიუტერი,. კოლეჯს აქვს სერვერი და დოკუმენტების (ფაილების) მიმოცვლისთვის ადმინისტრაციის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ შიდა ქსელით. კოლეჯს აქვს ასევე გვერდები სოციალურ ქსელებში.
ინტერნეტმომსახურების მიღების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინტერნეტპროვაიდერთან სს „სილქნეტი".

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ ინტერნეტპროვაიდერთან სს „სილქნეტი" გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ➢ ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში მიმდინარეობს შემოსული, გასული და შიდა კორესპონდენციების აღრიცხვა, საერთო და საკადრო ბრძანებების რეგისტრაცია, ხელშეკრულებებისა და წინარეხელშეკრულებების აღრიცხვა. ასევე გამზადებული აქვთ სტუდენტებთან ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. რეგისტრაციის ჟურნალები გადანომრილი, ზონარგაყრილი და ბეჭდით დამოწმებულია. გადამოწმდა ადგილზე და დადასტურდა დათვალიერებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმების დროს, აღმოჩნდა, რომ კოლეჯის დირექტორის ბრძანებები N6, N7 და N53 არ იყო გამოცემული საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტების დაცვით. მიეცათ რეკომენდაცია N6, N7 და N53 ბრძანებებში, საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტების დაცვით, შეეტანათ შესწორება. აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ და ჯგუფის ვიზიტის პერიოდში აღნიშნულ ბრძანებებში შევიდა ცვლილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2018 წლის 06 აპრილის N7 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის საქმისწარმოების წესით"
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველი დახმარების აღმოჩენის წესები. განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. კოლეჯს ჰყავს დაცვა და მედდა. შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრები ახალი დატუმბულია და გამოკრულია საევაკუაციო გეგმის თანახმად. დაწესებულებას ასევე აქვს სათადარიგო - საევაკუაციო გასასვლელი. დაცვითი სახანძრო სიგნალიზაციით და უსაფრთხოების სიგნალიზაციით.
ევაკუაციის გეგმა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.
სამედიცინო კუთხე აღჭურვილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. ყველა მედიკამენტი ვარგისია, მათ ვარგისიანობაზე პასუხისმგებელი პირი, უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველი დახმარების აღმოჩენის წესების მიხედვით, არის მედდა. დამატებითი ე.წ. საავთიქო ყუთი განთავსებულია დაწესებულების ფოიეში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი"-თ;
- ვიზუალური დათვალიერებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯი მდებარეობს ოთხსართულიანი შენობის მეოთხე სართულზე. ქუჩიდან შენობის პირველ სართულზე მოსახვედრად დამონტაჟებულია პანდუსი, სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით. სასწავლო ფართში, თითოეულ სასწავლო გარემოში (A,B,C), ბიბლიოთეკასა და სამედიცინო დახმარების პუნქტთან გადაადგილება თავისუფლადაა შესაძლებელი. ადაპტირებულია სველი წერტილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

➢ ვიზიტის დროს ადაპტირებული გარემოს ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებ გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ...............
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ...............

(ხელმოწ. წელი)

*დანართი №2*

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებ გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია კოლეჯის შექმნის ისტორია, საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული ინფორმაციები დაწესებულების სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, სტრატეგიული გეგმის შესახებ, ასევე განთავსებულია მარეგულირებელი დოკუმენტები.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვებ გვერდზე მარეგულირებელი დოკუმენტაცია განთავსებულია განყოფილებაში „კანონმდებლობა". ამა თუ იმ დაწესებულების საქმიანობის წესები არ წარმოდგენს „კანონმდებლობას" , მიეცათ რეკომენდაცია რომ ვებ გვერდზე განყოფილების სახელწოდება შეეცვალათ. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შეცვალა სახელწოდება „კანონმდებლობა" სახელწოდებით „მარეგულირებელი დოკუმენტაცია"

ამავე დროს ვებ-გვერდზე განთავსებული სტრუქტურა, დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, განათლების მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდება და დაწესებულების საშტატო განრიგი და პერსონალის სამუშაოთა აღწერილობა არ შეესაბამება ერთმანეთს, კერძოდ: წესდების მიხედვით მმართველ ორგანოებში გათვალისწინებული სამეთვალყურეო საბჭო არ ჩანს სტრუქტურაში (დირექტორის განმარტებით მისი არჩევა მოხდება სტუდენტთა მიღების შემდეგ, რადგან საბჭოში უნდა იყოს სტუდენტის მშობელი), თავად დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში ერთი და იმავე პოზიციაზე დასაქმებული პირი ზოგან მოხსენიებულია როგორც მენეჯერი, სხვაგან როგორც სპეციალისტი, კოორდინატორი, რაც სასურველია მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია.

ვებ გვერდზე იმისათვის, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი, ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ამის მაგალითია თუნდაც რეკომენდაციების გათვალისწინებით, ელექტრონულ კატალოგში და მარეგულირებელ დოკუმენტაციაში მყისიერად განხორციელებული ცვლილებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

დაწესებულების ვებ გვერდით http://cmtv.ge

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული გეგმა SWOT ანალიზის საფუძველზე, კოლეჯის მისიიდან გამომდინარეა შემუშავებული და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენების და გაუმჯობესების მექანიზმებს. სტრატეგიული გეგმა 2018-2023 წლებში 7 სტრატეგიული მიზნის და მათი ქვემიზნების შესრულებას ითვალისწინებს.

კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2018 წლის მაისი -2019 წლის აპრილის პერიოდს მოიცავს და 6 მიზნისგან შედგება, რომლებიც თავის მხრივ ამოცანებადაა ჩაშლილი, ხოლო ამოცანები აქტივობებადაა გაწერილი. სამოქმედო გეგმა მოიცავს ასევე ინფორმაციას პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, სხვა ჩართული მხარეების, დაფინანსების წყაროებისა და რისკების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2018 წლის 04 ივნისის N36 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმით (ექვსწლიანი)";
- 2018 წლის 04 ივნისის N37 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სამოქმედო გეგმით (ერთწლიანი)".



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

----------

*(ხელმოწერა)*

*დანართი №2*

## 3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილ თვითშეფასებას თან ახლდა დაწესებულების პერსონალის CV და მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები, ამიტომ პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმება, მათთან გასაუბრება დაიგეგმა და განხორციელდა უშუალოდ ვიზიტის დროს.

წინარე ხელშეკრულებები გაფორმებულია 74 პედაგოგთან. 8 პედაგოგის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდებოდა მათი სამუშაო გამოცდილება. (არ იყო წარმოდგენილი სამწლიანი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა). ვიზიტის დასრულებამდე ყველა პედაგოგმა წარმოადგინა ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ.

დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე ადმინისტრაციული და საშტატო განრიგით გათვალისწინებული და შტატგარეშე სხვა პერსონალის პირადი საქმეები, რომელთა გადამოწმებით და ასევე პერსონალთან გასაუბრებით დამტკიცდა მათი კვალიფიკაცია, მაშასადამე მათი შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების განმახორცორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
- საშტატო განრიგით გათვალისწინებული და შტატგარეშე თანამშრომლების პირადი საქმეებით;
- პერსონალთან პირადი გასაუბრებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.
საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს დაგეგმილ 120 პროფესიულ სტუდენტზე, წინარე ხელშეკრულებით მოწვეული 74 პროგრამის განმახორციელებელი პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებებით;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვილი ჩასარიცხი სტუდენტების ზღვრული რაოდენობებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა გაწერილია „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებში", ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების და კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. წინასწარი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით";
- პერსონალთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგანმანათლებლო პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეპორტიორი | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია რეპორტიორობ | 120 | 150 | ქართული | თბილისი, ყზბეგის N68 | 0 | 15 |

33

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | აში; 070356 | | | | | | |
| 2 | ტელე - რადიო წამყვანი | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ტელე-რადიოწამყვანობაში; 070357 | 120 | 150 | ქართული | თბილისი, უზნაძის N68 | 0 | 15 |
| 3 | ვიდეომონტაჟი | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვიდეომონტაჟში; 080163 | 120 | 150 | ქართული | თბილისი, უზნაძის N68 | 0 | 15 |
| 4 | ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვიდეო-საოპერატორო ხელოვნებაში; 080162 | 120 | 150 | ქართული | თბილისი, უზნაძის N68 | 0 | 15 |
| 5 | ტელეეთერის დიზაინი | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ტელეეთერის დიზაინში; 080164 | 120 | 150 | ქართული | თბილისი, უზნაძის N68 | 0 | 15 |
| 6 | ტელერეჟისურა | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ტელერეჟისურაში; 080161 | 120 | 150 | ქართული | თბილისი, უზნაძის N68 | 0 | 15 |
| 7 | ფოტოგრაფია | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფოტოგრაფიაში 080159 | 43 | 73 | ქართული | თბილისი, უზნაძის N68 | 0 | 30 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დანართი №2*

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი:  1. ვიზიტის დღის წესრიგი.

27.08.2018წ.

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: